ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

„სასამართლოს თავმჯდომარეების მონაწილეობა საქმეთა განხილვის პროცესში“

მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

2015-2018 წლებში არსებული მდგომარეობის ანალიზი

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
მარტი, 2019 წ.
ქ. თბილისი

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

C **ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“**

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202
ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ზურაბ ახობაძე – 599 291202
ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

შესავალი

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, სასამართლოს თავმჯდომარეებისა და კოლეგიების (პალატის) თავმჯდომარეების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილეობის საკითხზე მოკვლევის შედეგებს წარმოადგენს. მონიტორინგი - „საქართველოს საერთო სასამართლოებში თავმჯდომარე მოსამართლეთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილეობა“ ორგანიზაციის დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში მომზადდა.

ორგანიზაციამ შეისწავლა 2015-2018 წლებში, საქართველოს საერთო სასამართლოებში თავმჯდომარე მოსამართლეთა საქმისწარმოების პროცესში მონაწილეობის შესახებ სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც წარმოადგენს მონიტორინგის შედეგებს.

2018 წლის 05 მარტს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის შემდეგ სასამართლოებს მიმართა:

- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- თბილისის საქალაქო სასამართლო;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო;
- ბათუმის საქალაქო სასამართლო;
- რუსთავის საქალაქო სასამართლო;
- ფოთის საქალაქო სასამართლო;
- ამბროლაურის რაიონული სასამართლო;
- ახალქალაქის რაიონული სასამართლო;
- ახალციხის რაიონული სასამართლო;
- ბოლნისის რაიონული სასამართლო;
- გურჯაანის რაიონული სასამართლო;
- ზესტაფონის რაიონული სასამართლო;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლო;
- თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო;
- თელავის რაიონული სასამართლო;
- მცხეთის რაიონული სასამართლო;
- ოზურგეთის რაიონული სასამართლო;
- სამტრედიის რაიონული სასამართლო;
- საჩხერის რაიონული სასამართლო;
- სენაკის რაიონული სასამართლო;
- სიღნაღის რაიონული სასამართლო;
- ცაგერის რაიონული სასამართლო;
- ხაშურის რაიონული სასამართლო;
- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო.

ორგანიზაციამ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ სასამართლოებს, მონიტორინგის ფარგლებში შემდეგი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით მიმართა:

1. 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით, ვინ იკავებს (იკავებდა) კონკრეტული სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციას, ასევე სპეციალიზირებული კოლეგიის/პალატის (სამოქალაქო, ადმინისტრაციული და

სისხლის სამართლის მიმართულებით) თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციას;

2. ინფორმაცია, 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით, კონკრეტული სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ასევე სპეციალიზირებული კოლეგიის/პალატის (სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით) თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისწარმოებაში არსებული საქმეების ოდენობისა და განხილული საქმეების სტატისტიკის შესახებ;

3. ინფორმაცია, 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით, კონკრეტული სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, აგრეთვე სპეციალიზირებული კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეების წარმოებაში რამდენი მიმდინარე საქმე ირიცხება;

4. ინფორმაცია, 2015-2016-2017 და 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით, რამდენი საქმე იქნა რეგისტრირებული კონკრეტულ სასამართლოში;

5. ინფორმაცია 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ;

გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალმა სასამართლოებმა, ორგანიზაციასთან აქტიურად ითანამშრომლეს.

1 საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ცალკეულ სასამართლოებში საქმეთა რეგისტრირების სტატისტიკა 2015 – 2018 წლის მდგომარეობით:

სასამართლოს დასახელება	**სამოქალაქო სამართლის საქმე**				**ადმინისტრაციული სამართლის საქმე**				**სისხლის სამართლის საქმე**			
	2015	**2016**	**2017**	**2018**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
საქართველოს უზენაესი სასამართლო	1342	1320	1642	323	860	966	1213	223	1242	1002	870	132
თბილისის სააპელაციო სასამართლო	6122	6953	7683	1343	3200	3849	4105	674	3125	2300	1955	433
თბილისის საქალაქო სასამართლო	28282	40340	37542	ინფორმაცია არ არის	10417	9512	9040	ინფორმაცია არ არის	5936	5848	5400	ინფორმაცია არ არის

ქუთაისის საქალაქო სასამართლო	2413	3206	4039	638	4330	2348	1545	148	1173	1066	995	161
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	1280	1245	1322	239	889	1087	1190	193	1335	1220	1512	228
ბათუმის საქალაქო სასამართლო	3368	4184	5270	830	645	769	678	85	1583	1337	1158	188
ფოთის საქალაქო სასამართლო	535	802	1362	251	712	728	709	267	231	220	244	38
რუსთავის საქალაქო სასამართლო	1802	2422	3114	653	1247	1132	1023	80	708	688	637	120
სიღნაღის რაიონული სასამართლო	554	778	978	ინფორმაციაარარის	244	213	155	ინფორმაციაარარის	258	296	237	ინფორმაციაარარის
მცხეთის რაიონული სასამართლო	861	808	814	171	1497 (მათ შორისსამართალდარღვევაც)	1367 (მათ შორისსამართალდარღვევაც)	984 (მათ შორისსამართალდარღვევაც)	579 (მათშორისსამართალდარღვევაც)	1140 (მათ შორისსაგამოძიებოსაქმე)	1276 (მათ შორისსაგამოძიებოსაქმე)	1335 (მათ შორისსაგამოძიებოსაქმე)	358 (მათშორისსაგამოძიებოსაქმე)
ახალციხის რაიონული სასამართლო	629	640	770	171	226	157	203	35	353	242	314	77
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	ინფორმაცია											

	არ არის დაყოფილი											
სამტრედიის რაიონული სასამართლო	424	776	958	190	102	153	165	15	226	224	236	31
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	410	498	683	116	137	298	191	11	410	418	316	57
ხაშურის რაიონული სასამართლო	497	642	971	227	152	212	127	16	216	186	181	35
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	456	774	963	185	235	206	162	28	274	248	176	33
ოზურგეთის რაიონული სასამართლო	548	816	1052	221	178	221	254	26	350	395	439	59
თელავის რაიონული სასამართლო	598	788	1012	242	308	236	167	31	369	342	347	77
ცაგერის რაიონული სასამართლო	83	83	122	22	18	20	18	3	29	36	24	6
ამბროლაურის რაიონული სასამართლო	95	122	106	17	25	37	35	9	53	31	50	3
სენაკის რაიონული სასამართლო	477	611	1032	185	88	94	71	7	152	178	130	12
გურჯაანის რაიონული სასამართლო	832	855	931	172	270	249	172	20	372	334	336	58
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	1669	2176	3269	არ არის	324	372	378	არ არის	831	878	915	არ არის

2. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ცალკეულ სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ საქმეთა განხილვის სტატისტიკა 2015 – 2018 წლის მდგომარეობით:

სასამართლოს დასახელება	სასამართლოს თავმჯდომარის ვინაობა	თავმჯდომარეების მიერ განხილულ საქმეთა სტატისტიკა			
		2015	2016	2017	2018
საქართველოს უზენაესი სასამართლო	ნინო გვენეტაძე	მოწოდებული არ არის	2	მოწოდებული არ არის	26
თბილისის სააპელაციო სასამართლო	ვალერი ცერცვაძე	55	20	10	--
	მიხეილ ჩინჩალაძე	--	--	5	5
თბილისის საქალაქო სასამართლო	(ინფორმაცია არ არის მოწოდებული)	----	----	----	----
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	თემურ გოგოხია	3792	1818	656	--
	ლერი თედორაძე	--	--	--	129
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	მალხაზ გურული	289	--	--	--
	დიმიტრი გვრიტიშვილი	331	245	83	0
ბათუმის საქალაქო სასამართლო	დავით მამისეიშვილი	408	313	251	45
ფოთის საქალაქო სასამართლო	რევაზ ნადარაია	255	39	--	--
	თეიმურაზ სიხარულიძე		398	740	105
რუსთავის საქალაქო სასამართლო	მამია ფხაკაძე	119	77	132	10
სიღნაღის რაიონული სასამართლო	ირაკლი ბონდარენკო	--	--	ჯამში:317	--
	ვალერიან ბუგიანიშვილი	--	--	--	ჯამში: 140
მცხეთის რაიონული სასამართლო	ვასილ მშვენიერაძე	548	653	344	--
	დავით ახალბედაშვილი	--	--	524	155

ახალციხის რაიონული სასამართლო	გოჩა ჯეირანაშვილი	226	148	243	50
	გიორგი ლონდარიძე	--	--	--	95
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	ვლადიმერ ხუჭუა	334	252	216	22
სამტრედიის რაიონული სასამართლო	ლევან მეშველიანი	129	116	118	19
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	ამირან ძაბუნიძე	586	---	---	---
	ლეილა გურგუჩიანი	---	98	---	---
	ხვიჩა კიკალიშვილი	---			საერთო ჯამში 1639
ხაშურის რაიონული სასამართლო	მევლუდ ხათაშვილი	179	190	65	21
	ზაზა რამიშვილი	---	---	163	---
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	გელა ქირია	319	---	---	---
	შოთა ნიკურაძე	---	397	387	113
ოზურგეთის რაიონული სასამართლო	ბიძინა სტურუა	---	---	---	საერთო ჯამში 2185
თელავის რაიონული სასამართლო	მამუკა წიკლაური	170	149	---	---
	მარინე ცერცვაძე	---	---	521	416
ცაგერის რაიონული სასამართლო	როინ კახიძე	33	96	103	44
ამბროლაურის რაიონული სასამართლო	თეიმურაზ სვანიძე	163	---	---	---
	გურამ გოცირიძე	---	190	136	17
სენაკის რაიონული სასამართლო	ლევან ნუცუბიძე	126	269	211	38
გურჯაანის რაიონული	დავით ნარიმანიშვილი	704	408	228	---
	ნანა ჩალათაშვილი	---	---	---	219

სასამართლო					
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	ნატრული აკობია	307	250	395	41
ბოლნისის რაიონული სასამართლო	სერგო მეთოფიშვილი	146	---	---	---
	თეა ლეონიძე	---	135	143	22

3. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის საქმეთა პალატების თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა განხილვის სტატისტიკა 2015 – 2018 წლის მდგომარეობით:

სასამართლო	**პალატა**	**პალატის თავმჯდომარის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა**			
		2015	**2016**	**2017**	**2018**
საქართველოს უზენაესი სასამართლო	სამოქალაქო საქმეთა პალატა	217	133	96	49
	ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა	---	---	367	243
	სისხლის სამართლის საქმეთა პალატა	12	2	---	26
თბილისის სააპელაციო სასამართლო	სამოქალაქო საქმეთა პალატა	---	---	---	16
	ადმინისტრაციულსაქმეთა პალატა	592	1167	522	9
	სისხლის სამართლის საქმეთა პალატა	---	---	---	12
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	სამოქალაქო საქმეთა პალატა	331	245	83	0
	ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა	314	382	403	38
	სისხლის სამართლის საქმეთა პალატა	298	---	---	---

4. საქართველოს საერთო სასამართლოებში შემავალ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა 2018 წლის 01 მარტის მდგომარეობით;

სასამართლო	მოსამართლეთა რაოდენობა
საქართველოს უზენაესი სასამართლო	12
თბილისის სააპელაციო სასამართლო	55
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	15
თბილისის საქალაქო სასამართლო	111
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	11
რუსთავის საქალაქო სასამართლო	8
ფოთის საქალაქო სასამართლო	2
ბათუმის საქალაქო სასამართლო	12
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	4
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	2
სიღნაღის რაიონული სასამართლო	4
მცხეთის რაიონული სასამართლო	6
ახალციხის რაიონული სასამართლო	6

სამტრედიის რაიონული სასამართლო	3
გურჯაანის რაიონული სასამართლო	6
სენაკის რაიონული სასამართლო	3
ამბროლაურის რაიონული სასამართლო	2
თელავის რაიონული სასამართლო	5
ცაგერის რაიონული სასამართლო	2
ოზურგეთის რაიონული სასამართლო	5
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	4
ხაშურის რაიონული სასამართლო	5
ბოლნისის რაიონული სასამართლო	7
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	3

რეზიუმე

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, სასამართლოს თავმჯდომარეებისა და კოლეგიების (პალატის) თავმჯდომარეების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილეობის საკითხზე მოკვლევის შედეგებს აქვეყნებს, რომელიც 2015-2018 წლის პირველ ნახევარში არსებულ მდგომარეობას შეეხება.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საერთო სასამართლოების სისტემიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი მოახდინეს. ინფორმაციის ანალიზი ეხებოდა სასამართლოს თავმჯდომარეების, სასამართლოს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეების მიერ განხილულ საქმეების ოდენობას, რეგისტრირებული საქმეების სტატისტიკას, თავმჯდომარეების ვინაობებსა და ინსტანციურად დასაქმებული მოსამართლეების რიცხოვნებას. შესწავლაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთან ერთად, მონაწილეობა 23-მა საქალაქო (რაიონული) სასამართლომ მიიღო, შესწავლილი მონაცემი კი, 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებულ ვითარებას შეეხება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015-2018/01 მდგომარეობით, განიხილა - 4627 საქმე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ - 3262, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ - 3246. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა - 22,101 საქმე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ - 11,828, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ - 7813. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ - 4086, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ - 3359, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ - 4295.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და სააპელაციო ინსტანციებიდან, თავმჯდომარეების მიერ განხილული საქმეების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია წარმოდგენილი არ იქნა, თუმცა არსებული მონაცემებით დგინდება, რომ საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარემ 2015-2018/01 მდგომარეობით, განიხილა - 26 საქმე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ - 95 საქმე (მიხეილ ჩინჩალაძის მიერ განხილულ იქნა 10 საქმე, ვალერი ცერცვაძის მიერ - 85), ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ - 948 (მალხაზ გურულის მიერ - 289, დიმიტრი გვრიტიშვილის მიერ - 659). ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული თბილისის საქალაქო სასამართლოს, ახალქალაქის რაიონული სასამართლოსა და საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განხილული საქმეების თაობაზე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შესწავლით, ყველაზე მეტი საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, ხოლო ყველაზე ნაკლები საქმე - ცაგერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ განიხილეს, თუმცა აღნიშნული შეფასება განსჯადი სასამართლოს ტეროტორიაზე წარმოებული დავების გათვალისწინებით უნდა შეჯამდეს. მონიტორინგის შედეგებით, ასე გამოიყურება საქმეთა განხილვის თანმიმდევრობით სასამართლო ინსტანციები:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 6395;

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 2224;
3. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 2185;
4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 1639
5. გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 1559;
6. ფოთის საქალაქო სასამართლო თავმჯდომარე - 1537;
7. თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 1256;
8. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 1216;
9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 1017;
10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 993;
11. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 824;
12. ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 762;
13. სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 644;
14. ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 618;
15. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 506;
16. სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 457;
17. ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 446;
18. სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 382;
19. რუსთავის საქალაქო სასამართლო თავმჯდომარე - 338;
20. ცაგერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 276.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მნიშვნელოვანია სასამართლოებმა გააუმჯობესონ სტატისტიკური მონაცემის დამუშავების სისტემა და სრულყოფილი მონაცემი არსებობდეს, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეების, აგრეთვე პალატისა და კოლეგიის თავმჯდომარეების მიერ განხილული საქმეების თაობაზე. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლო სისტემაში, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, სამართალწარმოებას სასამართლოს თავმჯდომარეებიც ახორციელებენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს და უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ადმინისტრაციული თანამდებობის უფლებამოსილების განხორციელებასთან ერთად. ორგანიზაცია, საკითხზე მუშაობას აგრძელებს და სრულფასოვან ინფორმაციას 2018-2019 წლების პერიოდზეც გამოაქვეყნებს.

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციას. 2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” თანადამფუძნებელი და წევრი. 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრ ორგანიზაციას. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 2014 წელს გაწევრიანდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, ხოლო 2014-2017 წლებში საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის დეკემბრიდან მონაწილეობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში. 2016 წელს, ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში. ამასთან, 2015 წლის 30 აპრილს, ორგანიზაციამ დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“, რომელიც განახლდა 2016 წლის აპრილში გამოცხადებული კონცეფციის შედეგად. ორგანიზაციის სამოქალაქო ჩართულობის მაგალითს წარმაოდგენს 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, რომლებსაც საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. ორგანიზაცია მიმართულია კვლევით საქმიანობაზე, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, საკანონმდებლო წინადადებებს, ჩართულია ახალგაზრდული პოლიტიკის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეფორმების შეფასებაში. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2017-2018 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი
წარმოდგენილი კვლევის შესახებ.

თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com